ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 357

"9" აგვისტო 2022 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, დიღმის მასივში, III კვარტალში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ. №01.13.03.038.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის, 118[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში, III კვარტალში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ. №01.13.03.038.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 3 აგვისტოს №22.1203.1303 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, დიღმის მასივში, III კვარტალში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ. №01.13.03.038.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით, ააიპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის" (ს/ნ. 201990079) სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე